# 10 აგვისტო ფიზკულტურელის საკავშირო დღეა




ნახ. გ. იაშვილისა.

## დაიმსახურეს

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიენიჭათ: **ცურვაში** — თ. იორდანიშვილს; **კალათბურთში** — ე. აზიზოვას, დ. ქამუშაძეს; **ჩოგბურთში** — ა. ელერდაშვილს; **თანამედროვე ხუთჭიდში** — ვ. როგავას; **ნიჩბოსნობაში** — კ. რევიას; **სასტენდო სროლაში** — ზ. მაჩხანელს; **ფეხბურთში** — გ. მამალაძეს; **მოტოსპორტში** — კ. მაისურაძეს, ა. კაფაროვს; **ავტოსპორტში** — ო. ხარაძეს (ყველა — თბილისი); **ტყვიის სროლაში** — ო. მელიას (ბათუმი); **ქართულ ჭიდაობაში** — გ. გიგაურს (ახმეტა).

## სხვადასხვა ამბები

● **ვიგო** (ესპანეთი), **9 აგვისტო.** ევროპის იუნიორ კალათბურთელ ვაჟთა III ჩემპიონატში გამოვლინდნენ ნახევარფინალური მატჩების მონაწილენი: ესენი არიან სსრ კავშირისა და იუგოსლავიის გუნდები, რომლებმაც ყველა წინასწარი შეხვედრა მოიგეს და თურქეთისა და იტალიის კოლექტივები. თურქებმა ეს უფლება მოიპოვეს მასპინძელთა ნაკრების დამარცხებით (76:73), ხოლო იტალიელებმა — ბერძნებთან გამარჯვებით (63:59). ნახევარფინალისტები ასე დაწყვილდნენ: სსრ კავშირი — თურქეთი, იუგოსლავია — იტალია.

● მერზებურგი, 9 აგვისტო, გდრ-ის მძლეოსანთა აქ დაწყებულ ჩემპიონატში ოქროს მედალი პირველმა მოიპოვა ევროპის ჩემპიონმა და რეკორდსმენმა ი. ჰააზემ. 10.000 მ მან 29 წუთსა და 12,8 წამში გაირბინა. ბრძოლა მეტისმეტად მძაფრი იყო — წამმზომებმა პრიზიორების მაჩვენებლები ვერ დააცალკევეს: ი. ბუშსა და გ. ზაიბტს ისეთივე დრო ჰქონდათ, როგორც ჰააზეს. ამგვარი რამ გრძელ მანძილებზე რბენაში ძალიან იშვიათად ხდება. საპრიზო ადგილების ბედი ფოტოფინიშმა გადაწყვიტა.

● **შტუტგარტი,** 9 აგვისტო. ამ დასავლეთგერმანული ქალაქის სტადიონზე გამართულ საერთაშორისო მძლეოსნურ შეჯიბრებაში ბრწყინვალედ ისპარეზა ბადროს ტყორცნაში მსოფლიოს ექს-რეკორდსმენმა ლიუდვიკ დანეკმა (ჩეხოსლოვაკია). მისმა გატყორცნილმა ბადრომ 62,24 მ იფრინა, რაც ერთ-ერთი საუკეთესო შედეგია წლეულს ევროპაში.

## თბილისის სპორტულ ბაზებზე

ფიზკულტურელის საკავშირო დღესთან დაკავშირებით თბილისის სპორტულ ბაზებზე დღეს ეწყობა სხვადასხვა შეჯიბრება.

**კალათბურთი** („განთიადის" სპორტბაზა, პლეხანოვის პრ. № 95). ქალები: სპორტკლუბი „განთიადი" — ფეხსაცმლის ფაბრიკა № 1. დასაწყისი 10 ს., ვაჟები: სპორტკლუბი „განთიადი" — „გამარჯვება" (11 ს.).

**ხელბურთი** („განთიადის" სპორტბაზა). ვაჟები: „განთიადი" — „ლოკომოტივი" (17 ს. 30 წ.), ქალები: „განთიადი" I — „განთიადი" II (19 ს.).

**საწყლოსნო - სათხილამურო სპორტი** (თბილისის ზღვის სადგური). საერთაშორისო შეხვედრა თბილისი — პარიზი (17 ს.).

• • •

„სპარტაკის" საცურაო აუზში (300 არაგველის ქ. № 1) გაიმართება მასობრივი გაცურვები და შეჯიბრება წყალში ხტომაში (17 ს.).

მთაწმინდის კულტურის პარკში მოეწყობა შეჯიბრებები მაგიდის ჩოგბურთში, ქართულ ჭიდაობაში, გაიმართება ერთდროული თამაშის სეანსი ჭადრაკში. შეგიძლიათ მოისმინოთ ლექცია თემაზე — „ფიზკულტურა და სპორტი საბჭოთა ხალხის ყოფაში" (17 ს.).

ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში — ერთდროული თამაშის სეანსი ჭადრაკში, ლექცია თემაზე — „ფიზკულტურა და სპორტი სსრ კავშირში". აქ ნახავთ ქალაქის უძლიერეს აკრობატთა გამოსვლას და სხვ. (17 ს.).

კიროვის სახელობის პარკში — ერთდროული თამაშის სეანსი ჭადრაკში (17 ს.).

300 არაგველის სახელობის მოედანზე — კიროვის რაიონის ახალგაზრდობის დასვენების დღე. ასპარეზობანი ფრენბურთსა და კალათბურთში (17 ს.).

საწყლოსნო სადგური მტკვარზე — უძლიერეს ნიჩბოსანთა გამოსვლები (12 ს.).

მასობრივი შეჯიბრებები გაიმართება ფრენბურთში, ფეხბურთში, ხელბურთში, ჭადრაკსა და სპორტის სხვა სახეობებში — საბურთალოს მასივში (10 ს.), დიღმის მასივში (12 ს.), III მასივში (17 ს.).


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 156 (3640)

10 1968 წ. აგვისტო, შაბათი. ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოდის 25-ე წელი.


## საზეიმო სხდომა

გუშინ თბილისში, საქართველოს ფილარმონიის საზაფხულო თეატრში შედგა ფიზკულტურელის საკავშირო დღისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა.

სხდომა გახსნა მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ შ. ბუხრაშვილმა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმება რესპუბლიკის ყველა ფიზკულტურელისა და სპორტსმენისადმი წაიკითხა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ვ. სირაძემ.

მოხსენებით — „ფიზკულტურელთა საკავშირო დღე" გამოვიდა საქართველოს სპორტკავშირის თავმჯდომარე გ. სიხარულიძე.

სხდომაზე ფიზკულტურელებსა და სპორტსმენებს მიესალმნენ მეტრომშენის ახალგაზრდა სპეციალისტი გ. კილაძე, სსრ კავშირის იუნიორთა ჩემპიონი მძლეოსნობაში ვ. ქუთათელაძე, თბილისის უნივერსიტეტის პრორექტორი ნ. ლომოური, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი შ. ნოზაძე, კომკავშირის თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის პირველი მდივანი გ. ბაკურაძე.

საზეიმო სხდომას დაესწრნენ ამხანაგები პ. როდიონოვი, გ. ჯავახიშვილი, მ. კუჭავა, ა. ინაური.

• • •

დასასრულს გაიმართა კონცერტი.



საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი, დინამოელი სპორტის ოსტატი ლამარა გათენდაშვილი (მწვრთნელი თ. ქოიავა) ძალიან პერსპექტიული ტანმოვარჯიშეა. ამ ნიჭიერმა გოგონამ ბოლო დროს წარმატებით იასპარეზა მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, მინსკის, ხარკოვის, რიგის, ტალინისა და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებში გამართულ უძლიერეს ტანმოვარჯიშეთა ტურნირებში, სადაც სპეციალური პრიზები დაიმსახურა დგირზე, ორძელსა და თავისუფალი ვარჯიშის საუკეთესო კომბინაციების შესრულებისთვის.

ს უ რ ა თ ზ ე: ლ. გათენდაშვილი თავისუფალი ვარჯიშის დროს.

ფოტო ი. იუნაევისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კიდევაც იბრძოლებენ!

გ. სიხარულიძე,
საქართველოს სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

საბჭოთა საზოგადოებრიობა ზეიმით აღნიშნავს ფიზკულტურელის საკავშირო დღეს. წლევანდელი ზეიმი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ვინაიდან იგი საბჭოთა ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის ნახევარსაუკუნოვან იუბილეს ემთხვევა.

პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელობით, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების აქტიური მხარდაჭერით, საბჭოთა ფიზკულტურულმა მოძრაობამ გიგანტური ნაბიჯი გადადგა წინ შედარებით მოკლე დროში — 50 წელიწადში. დღეს ჩვენს ქვეყანაში ფიზკულტურასა და სპორტში ჩაბმულია ყოველი მეხუთე მცხოვრები. სწორედ ამიტომ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა დღევანდელი ზეიმი საყოველთაო-სახალხო დღესასწაულია.

საბჭოთა ფიზკულტურულმა მოძრაობამ დასაბამი აიღო მაშინ, როცა საბჭოების ახალგაზრდა რესპუბლიკა ჯერ კიდევ შეუპოვარ ბრძოლაში იყო როგორც გარეშე მტრებთან, ისე შინა კონტრრევოლუციურ ძალებთან. რევოლუციამდელი რუსეთიდან შემორჩენილი სპორტული მემკვიდრეობა მეტისმეტად ღარიბი იყო, მაგრამ ჩვენი ფიზკულტურული ორგანიზაციების შეუპოვარმა მეცადინეობამ თავისი გაიტანა. დღეს სსრ კავშირის სპორტსმენებს მსოფლიო სარბიელზე ერთ-ერთი უპირველესი ადგილი უჭირავთ და ამ წარმატებაში საქართველოს წარმომადგენელთა დიდი წვლილიც არის.

ქართულმა საბჭოთა სპორტმა დღევანდელ დღემდე განვითარების რთული და საინტერესო გზა განვლო. 1922 წელს შეიქმნა საბჭოთა სპორტსაზოგადოება „სპარტაკი“ და თუმცა არ გვყავდა ფიზკულტურულ მუშაკთა კადრები, არ გვქონდა ბაზები, ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებისთვის ინტენსიური მუშაობა გაიშალა. 1923 წელს თბილისში ჩამოყალიბდა ფიზკულტურის პირველი წრეები მუშებისა და მოსამსახურეებისთვის. იმავე წელს პირველად შეიქმნა ფიზკულტურული მუშაობის სახელმწიფო ხელმძღვანელი ორგანო — საქართველოს ფიზკულტურის უმაღლესი საბჭო. თუ აქამდე საქართველოში უმთავრესი ადგილი ტანვარჯიშს ეთმობოდა, ახლა დაიწყო ჭიდაობის, ფეხბურთის, მძლეოსნობისა და ძალოსნობის განვითარებაც.

1932 წელს თბილისში გაიხსნა ფიზკულტურის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, 1938 წელს კი ფიზკულტურის ინსტიტუტი. ამან რესპუბლიკას კვალიფიციურ სპეციალისტთა კადრი მისცა. 1935 წლიდან განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებას მოსწავლეთა შორის. პირველად გაიხსნა სპორტსკოლები, რომელთაგან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სკოლები ტანვარჯიშისა, მძლეოსნობისა, ფეხბურთისა. იმავე წლებში შეიქმნა ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებები, მინისტრთა საბჭოებთან დაარსდა ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტები.

ამ პერიოდში საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის განვითარებაში დიდი წვლილი შეაქვთ ქართველ მთამსვლელებს — საბჭოთა ალპინიზმის პიონერებს. ესენი არიან გიორგი ნიკოლაძე, სიმონ, ალიოშა და ალექსანდრა ჯაფარიძეები, ივანე მარი და სხვ. მთელს სსრ კავშირში გაითქვეს სახელი სპორტის დამსახურებულმა ოსტატებმა, ტანმოვარჯიშეებმა გ. რცხილაძემ და გ. ბაბილოძემ, მძლეოსნებმა ე. გოკიელმა და ნ. დუმბაძემ, მოჭიდავეებმა შ. ჩიხლაძემ და ლ. ძეკონსკიმ, მოკრივეებმა შ. გორგასლიძემ და ა. ნავასარდოვმა, ძალოსნებმა მ. ქლენტმა და ვ. სვეტილკომ, ფეხბურთელებმა ა. ჟორდანიამ და ბ. პაიჭაძემ, კალათბურთელებმა ა. წერეთელმა და ლ. ძეკონსკიმ, სათხილამურო სპორტის ოსტატებმა ლ. ფანჯაკიძემ და ვ. მესხიშვილმა.

საქართველოს სპორტსმენები მთელი საბჭოთა ხალხის მხარდამხარ თავგანწირულად იბრძოდნენ და შრომობდნენ სამამულო ომის წლებშიც. ომის დამთავრების შემდეგ კი ჩვენს რესპუბლიკაში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა ახალი ძალით გაიშალა. ამ დროისთვის ქართულ სპორტს უკვე მტკიცედ უჭირავს მოწინავე ადგილი საკავშირო სარბიელზე.

საქართველოს წარგზავნილებმა წარმატებით იასპარეზეს სსრ კავშირის ხალხთა ოთხივე სპარტაკიადაში. მათ განსაკუთრებული წარმატება მოიპოვეს IV საიუბილეო სპარტაკიადაში, სადაც ოქროს 15 მედალი დაისაკუთრეს.

როცა წარმატებაზე ვლაპარაკობთ, განსაკუთრებით უნდა მოვიხსენიოთ ორგზის მსოფლიო ჩემპიონი მოჭადრაკე ქალთა შორის ნ. გაფრინდაშვილი, უნდა აღვნიშნოთ მძლეოსან რ. შავლაყაძის, მოჭიდავეების გ. კარტოზიასა და ვ. ბალავაძის, ტანმოვარჯიშეების მ. ჯუღელისა და გ. შარაბიძის, კალათბურთელების ო. ქორქიას, ნ. ჯორჯიკიას და გ. მინაშვილის, ველოსიპედისტ ო. ფხაკაძის, ჩოგბურთელ ა. მეტრეველის, ფეხბურთელების ა. ღოღობერიძის, ს. მეტრეველისა და მ. ხურცილავას, მთამსვლელ მ. ხერგიანის, მოფარიკავეების გ. კოსტავასა და ნ. ასათიანის მიღწევები ოლიმპიურ, მსოფლიო და საკავშირო სარბიელზე.

დიდ იმედებს იძლევიან მძლეოსნები ვ. ხანეევი, ლ. იევლევა და ვ. ქუთათელაძე, ნიჩბოსანი ჯ. ხოშიბაევი.

საერთო წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვით საქართველოს მოწინავე მწვრთნელებს: მ. თიკანაძესა და ვ. კუხიანიძეს, ა. ხანგულიანსა და მ. კლდიაშვილს, გ. ავალიშვილსა და ს. თორთლაძეს, ა. მეიფარიანს, შ. დარასელიასა და ტ. მესხს, ს. ჯაიანსა და ი. თავდიდიშვილს, მ. ქლენტს, დ. კაპცოვს, გ. შარაშიძეს, ა. კერსელიანს, ა. გაბრიაძეს, განსვენებულ ვ. ქარსელაძეს და სხვ.

უნდა აღინიშნოს, რომ დღეს რესპუბლიკაში გვყავს 59 ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე, 100 სპორტის დამსახურებული ოსტატი, 61 სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, 230 საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი, 16 საერთაშორისო კატეგორიისა და 301 საკავშირო კატეგორიის მსაჯი. 51 ქართველი სპორტსმენი საერთაშორისო სპორტის ოსტატია, 2579 — სსრ კავშირის სპორტის ოსტატი.

ფიზკულტურისა და სპორტის წარმატებით განვითარებას ბევრით განაპირობებს კეთილმოწყობილი სპორტბაზები. ახლა საქართველოში 97 სტადიონია (1500 და მეტი მაყურებლისთვის), ფეხბურთის 1806 მინდორი, 8900 კალათბურთის, ფრენბურთისა და კომპლექსური მოედანი, ჩოგბურთის 116 კორტი, 37 სანიჩბოსნო სადგური, 12 სათხილამურო ბაზა, 55 საცურაო აუზი, ტანვარჯიშის 773 დარბაზი.

ამას გარდა, ბაკურიანში შენდება 90-მეტრიანი ტრამპლინი და 200-ადგილიანი პანსიონატი, ლესელიძეში — პანსიონატი 250 კაცისთვის, თბილისში — საჭადრაკო-ალპური კლუბი, ველოტრეკი და სპორტდარბაზების კომპლექსი, ხდება თბილისის „დინამოს“ სტადიონის რეკონსტრუქცია. დიდი სპორტული მშენებლობაა გაშლილი რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და რაიონებში.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ის დიდი მუშაობა, რაც ტარდება განათლების სამინისტროს სპორტულ სკოლებში, უმაღლესი სპორტული დაოსტატების რესპუბლიკურ და საქალაქო სკოლებში, უმაღლესი სასწავლებლების სპორტულ სექციებში.

როგორც ცნობილია, მიღწეული წარმატებისთვის საქართველოს ფიზკულტურულ ორგანიზაციას სამუდამოდ გადაეცა საკავშირო სპორტკავშირის გარდამავალი დროშა.

საქართველოს ფიზკულტურელები და სპორტსმენები კვლავაც დაუღალავად იბრძოლებენ კიდევ უფრო მეტი წარმატებისთვის, ბევრი ახალი სასახელო გამარჯვებისთვის.

# ზედიზედ მეთხუთმეტე

ბაქო, 9 აგვისტო. აზერბაიჯანის მ. აზიზბეკოვის სახელობის ნავთობისა და ქიმიის ინსტიტუტის ფრენბურთელმა ვაჟებმა ქვეყნის პირველობაზე გამართულ მატჩში წლევანდელ სეზონში მესამედ მოუგეს სსრ კავშირის თორმეტგზის ჩემპიონებს — მოსკოვის არმიელებს. ბაქოელები თითქმის უკვე ორი თვეა არ დამარცხებულან. მათი ბოლო გამარჯვება ზედიზედ მეთხუთმეტეა, რაც ჩემპიონატის თავისებური რეკორდია.

აზერბაიჯანის ფრენბურთელთა გამარჯვება არ შეიძლება აიხსნას შემთხვევითი ფაქტორებით, კერძოდ იმით, რომ ახლა ბევრ კოლექტივში არ თამაშობენ მთავარი ფრენბურთელები, რომლებიც ნაკრებში არიან მიწვეულნი. ბაქოელებმა სტარტზევე დაამარცხეს ალმა-ათის „ბურევესტნიკი“ და მოსკოვის არმიელები, რომლებიც სრული საბრძოლო შემადგენლობით გამოდიოდნენ.

სტუდენტები მრავალფეროვანი ტაქტიკით, საინტერესოდ თამაშობენ. შემთხვევითი როდია, რომ „დინამოს“ სტადიონის საბილეთო სალაროს თავზე ანშლაგის მაუწყებელი წარწერა არმიელებთან მატჩის დაწყებამდე კარგა ხნით ადრე გაჩნდა. ასობით გულშემატკივარმა იქვე ახლოს აღმართული 18-სართულიანი სასტუმროს იარუსებზე დაიკავა ადგილი თამაშის საყურებლად.

ბაქოელებს ჰყავთ მოთამაშეები, რომლებსაც მძლავრი გადამწყვეტი დარტყმა შეუძლიათ. ესენი არიან ვ. გადაშევი და 19 წლის გ. ფიმუშკინი. მაგრამ ყველაფერს ეს ორი როდი წყვეტს. აზერბაიჯანის ფრენბურთელები მეტოქეს აოგნებენ მრავალფეროვან კომბინაციათა მთელი კასკადით. გუნდს ბევრი ქულა მოუტანა მოკლე გადაცემის შემდეგ ვ. აგაევის ხანჯლურმა დარტყმებმა, კაპიტან ჰ. ალეკპეროვის ოსტატურად შესრულებულმა ცრუ მოძრაობებმა.

ახლა ბაქოელები 62 ქულით შევიდნენ ლიდერთა სამეულში, რომელსაც სათავეში ალმა-ათის „ბურევესტნიკი“ უდგას.

# იმარჯვებენ... 1972 წლის ოლიმპიელები

ლენინგრადი, 9 აგვისტო. ოქროს 9, ვერცხლის 4 და ბრინჯაოს 2 მედალი — ასეთია ახალგაზრდა საბჭოთა მოკრივეების შედეგი საერთაშორისო ასპარეზობაში „ოლიმპიური იმედები“. ასეთი დიდი წარმატება საბჭოთა სპორტსმენებისთვის ამ ტურნირების ისტორიაში პირველია.

ჩემპიონობა მოიპოვეს: ს. ზარემბლიუკმა (51 კგ), ბ. ბაღდასაროვმა (54 კგ, ორივე — ლენინგრადი), ნ. გოლცევმა (57 კგ, მოსკოვის ოლქი), ს. ციმბარევიჩმა (60 კგ), გ. ბასკოვმა (63,5 კგ, ორივე — ლენინგრადი), ა. კლიმანოვმა (71 კგ, ხარკოვი), რ. რისკიევმა (75 კგ, ტაშკენტი), გ. ბაბარიკამ (81 კგ, კალინინგრადი), გ. ჩერნიშოვმა (81 კგ-ზე მეტი, ორენბურგი).

ორ წონით კატეგორიაში გამარჯვებულთა გვირგვინები სტუმრებს ხვდათ — კუბელ დ. ოდელინს (48 კგ) და უნგრელ ი. ვიგხს (67 კგ).

ტურნირი თავისებური წინასწარი გამოცდა იყო ჭაბუკი მოკრივეებისთვის — 1972 წლის ოლიმპიადის კანდიდატებისთვის. და საბჭოთა სპორტსმენებმა, რომელთა ასაკიც 20 წელს არ აღემატება, ეს პირველი სერიოზული გამოცდა წარმატებით ჩააბარეს. ისინი ხომ უნგრეთის, კუბის, რუმინეთის, პოლონეთის ახალგაზრდული კრივის საუკეთესო წარმომადგენლებს შეხვდნენ გამარჯვების გზაზე.

# კორიზონტზეა სსრ კავშირის ჩემპიონატები

### პირველი ფინალისტები

მოწინავე დიდოსტატები და ოსტატები შეუდგნენ ბრძოლას სსრ კავშირის 36-ე საჭადრაკო ჩემპიონატის ფინალში თამაშის უფლებისთვის. ფინალურ ტურნირში პერსონალურად მიწვეული არიან მსოფლიო ჩემპიონი ტ. პეტროსიანი, ქვეყნის შარშანდელი პირველობის მიხედვით — სსრ კავშირის ჩემპიონები მ. ტალი (რიგა) და ლ. პოლუგაევსკი (მოსკოვის ოლქი), აგრეთვე, ე. ვასიუკოვი (მოსკოვი).

ფინალის დანარჩენ 16 მონაწილეს შერჩევითი შეჯიბრებები დაასახელებს. უკვე ცნობილია, რომ მათ რიცხვში მოხვდა უკრაინის 3 წარმომადგენელი: ოსტატები ი. სახაროვი, მ. პოდგაეცი და ი. პლატონოვი, აგრეთვე, მოსკოველთა ოთხეული — დიდოსტატები დ. ბრონშტეინი, ი. ავერბახი, ვ. ლიბერზონი და ოსტატი ი. ზაიცევი.

მწვავე ბრძოლაა გაჩაღებული გროზნოში მიმდინარე რსფსრ-ს პირველობაში და ტალინისა და გომელის ნახევარფინალურ ტურნირებში.

### 18 მონაწილე ჯერ უცნობია

სსრ კავშირის ქალთა 28-ე ჩემპიონატის ფინალში, რომელიც 1 ოქტომბერს სტარტს აიღებს ფრუნზეში, პერსონალურად მიწვეულია ქვეყნის შარშანდელი პირველობის 3 პრიზიორი: საერთაშორისო ოსტატები მ. რანიკუ (ტალინი), ა. ჩაიკოვსკაია (თბილისი) და ოსტატი კ. სკეგინა (მოსკოვის ოლქი).

მოსკოვის პირველობის შედეგების მიხედვით ფინალში ითამაშებენ: ოსტატი ო. კაცკოვა და ნ. მედიანიკოვა, ხოლო უკრაინის პირველობიდან — პირველთანრიგოსნები ნ. რუსინკევიჩი (დონეცკი) და მ. შულცი (ლვოვი). ტურნირის დანარჩენ 13 მონაწილეს სხვა ნახევარფინალები გამოავლენს.

ფინალში თამაშის პერსონალური უფლება მიეცათ მსოფლიო ჩემპიონს ნ. გაფრინდაშვილსა და ამ წოდების პრეტენდენტს ა. კუშნირს (მოსკოვი), მაგრამ ისინი აქ ვერ ითამაშებენ, ვინაიდან სექტემბერში მსოფლიო პირველობისთვის მატჩში ჩაებმებიან. (საკდესი).

ჭადრაკი

# ორი ლიდერი

დუშეთი, 9 აგვისტო (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). საქართველოს მოჭადრაკე ქალთა პირველობის III ტურში ნ. ალექსანდრიამ მოუგო ქ. პილცერს, ც. კახაბრიშვილმა — ლ. კოროშინაძეს, თ. ხუგაშვილმა — ქ. გოგიავას, მ. სანაძემ — ე. ლომიძეს (ქუთაისი).

დღეს, გადადებული პარტიების დამთავრებისას, ც. კობაიძემ 1,5 ქულა მოაგროვა: მოუგო მ. ჩომახიძეს და ყაიმზე შეუთანხმდა ნ. ჩიქობავას. ხუგაშვილმა დაამარცხა ც. სიორდია (ცხაკაია), კახაბრიშვილმა — პილცერი, ს. ივანოვამ — ჩომახიძე.

I ტურიდან გამოტოვებული გოგიავა — სანაძის პარტია დაუმთავრებელი დარჩა.

3 ტურის შემდეგ 3-3 ქულით დაწინაურდნენ საქართველოს ჩემპიონი კახაბრიშვილი და ხუგაშვილი. კობაიძეს 2,5 ქულა აქვს, ალექსანდრიას 2 და 1 გამოტოვებული (გოგიავასთან) პარტია.

# შრომასა და სპორტში



ჭიათურის კალინინის სახელობის მაღაროთა სამმართველოს მოწინავე ზეინკალი ზურაბ მგალობლიშვილი კარგად უთავსებს ერთმანეთს შრომასა და სპორტს. „განთიადის“ საქალაქო სპარტაკიადაში იგი შესანიშნავად გამოვიდა და ქვესაშუალო წონის ძალოსანთა შორის პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმა სამჭიდში — 335 კგ. მოწინავე ზეინკალსა და ნიჭიერ ძალოსანს თქვენ ამ სურათებზე ხედავთ.

ფოტო თ. შეყილაძისა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოწინავეთა პორტრეტები

როგორც ცნობილია, ამას წინათ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების საქმეში მოპოვებული წარმატებებისთვის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა ფიზკულტურელ მუშაკთა დიდი ჯგუფი. დაჯილდოებულთა შორის ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებიც არიან. რამდენიმე მათგანს ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში გამოქვეყნებული წერილებით გაგაცნობთ.

## დღესაც ისეთივეა...

— მეჩქარება, საბუთები მაქვს გასაფორმებელი. გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ვარ მსაჯად მიწვეული მოჭიდავეთა შეჯიბრებაზე. ვნახოთ, რას გვიჩვენებენ „ოლიმპიური იმედები“, — მითხრა შეხვედრისას ვასილ ილურიძემ.

მწვრთნელს მთავრობის ჯილდო მივულოცე — „საპატიო ნიშნის“ ორდენი. თან ვთხოვე რამდენიმე სიტყვა ეთქვა თავის მუშაობაზე, უახლოეს გეგმებზე.



მწვრთნელი ერთ ხანს ჩაფიქრდა და მერე მიპასუხა:

— მოდით, ჩემს მოწაფეზე — შოთა ლომიძეზე გეტყვით. იგი მოსკოვში „ვიპოვე“. ეს იყო 1956 წელს, სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის სარბიელზე, სადაც იგი მოლდავეთის ნაკრების სახელით გამოდიოდა. ახალგაზრდა ჯარისკაცი ძალიან აგრესიულად, თავისებურად იბრძოდა. ერთი წლის შემდეგ ქუთაისელმა ჭაბუკმა სამხედრო სამსახური დაამთავრა და თბილისში გადმოვიდა, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში განაგრძო სწავლა. დღისით ლექციები, საღამოს — საჭიდაო ხალიჩა. ერთად ვემზადებოდით. დღე დღეს მისდევდა. გავიდა წლები. შოთა ქვეყნის ოთხგზის ჩემპიონი იყო თავისუფალ ჭიდაობაში (ქვემძიმე წონა). 1966 წელს მან ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა, წლეულს კი ინდოეთის მსოფლიო ჩემპიონატში II საპრიზო ადგილი დაიკავა.

კარგი ბიჭიაო, ამბობს მწვრთნელი. მე დავსძენ: კარგი მასწავლებლის გაზრდილია. შემთხვევით როდი იყო, რომ საქართველოს თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადაში დამსახურებული გამარჯვება მოიპოვეს, ყველაზე შეგობრული და მებრძოლი გუნდის სახელი დაისაკუთრეს.

სხვათა შორის, ვასილ ილურიძე მარტო კარგი პედაგოგი როდია. იგი ჩინებული სპორტსმენიც გახლდათ. ეს იყო 1945 წელს. ლენინგრადში ტარდებოდა I საკავშირო ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში. 23 წლის დებიუტანტმა ფინალში ქულებით დაამარცხა მრისხანე მეტოქე — ერევნელი მოჭიდავე ა. ნაზარიანი და ქვეყნის პირველი ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა.

ილურიძემ კიდევ ორჯერ მოიპოვა პირველობა — ბუდაპეშტისა და ბერლინის სტუდენტთა მსოფლიო თამაშებში.

ვასილის ვაჟები თენგიზი და მიხეილი თავისუფალი ჭიდაობის თავგამოდებული გულშემატკივრები არიან. ბოლო ათ წელიწადში მას 60 სპორტის ოსტატი ჰყავს მომზადებული. ტყუილად როდი მიანდეს ილურიძეს თავისუფალი ჭიდაობის მწვრთნელთა საბჭოს ხელმძღვანელობა. ეს ნიშნავს მოგზაურობას საქართველოს კუთხიდან კუთხეში, ახალგაზრდა ტალანტებთან მუშაობას, ფიქრს, ზრუნვას, უძილო ღამეებს. მწვრთნელი ყველაფერს ასწრებს და წიგნსაც წერს ქართველ მოჭიდავეებზე. ეს კარგი საჩუქარი იქნება ქართველი სპორტის მოყვარულებისთვის, — სსრ კავშირისა და საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს ხომ ბევრი რამ უნახავს თავისი ცხოვრების გზაზე.

44 წლის კაცი დღესაც ისევე ენერგიულია, ისევე ინტერესიანი და შრომაში დაუღალავი, როგორც ადრე, თავისი ჩემპიონობის წლებში იყო. აი, ვისგან შეიძლება ახალგაზრდობამ მაგალითი აიღოს.

ვ. ბუკია.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: ვ. ილურიძე.
ფოტო მ. ზარგარიანისა.

## როცა თავმჯდომარე ფხიანი კაცია

1958 წელს „სპარტაკის“ რესპუბლიკური საბჭო 17 ათას ფიზკულტურელს ითვლიდა. 10 წელიწადში მათი რიცხვი რამდენიმე ათეულით გაიზარდა.

ეს საინტერესო ცნობა მოგვაწოდა „სპარტაკის“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ ავთანდილ კორინთელმა. იგი დიდი გაჭირვებით ვიპოვეთ. ახლა საზოგადოებაში ცხელი დღეებია — ფიზკულტურის კოლექტივებში ანგარიშგება-არჩევნებისთვის ემზადებიან.



სპორტკლუბ „სინათლეს“ გამოცდილი ხელმძღვანელები ჰყავს, მაგრამ კორინთელს ყველა ყურადღებით უსმენდა, მისი რჩევა აინტერესებდათ. ავთანდილი ხომ სპორტული მუშაობის დიდ მცოდნედ ითვლება. ამას ხელი შეუწყო ჯერ ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურ კომიტეტში, შემდეგ „სპარტაკში“ მუშაობამ. 1960 წლიდან იგი თავმჯდომარის მოადგილე იყო, შარშანდლიდან კი თავმჯდომარეა.

საქართველოს წარგზავნილებმა შვიდჯერ მოიპოვეს დამსახურებული გამარჯვება „სპარტაკის“ ცენტრალური საბჭოს საკავშირო შეჯიბრებებში. ამ წარმატებაში თავმჯდომარის დიდი წვლილიც არის.

ავთანდილ კორინთელის „მრევლი“ დიდია და გამუდმებულ ყურადღებას მოითხოვს. თავმჯდომარე ხან მოჭიდავეთა საწვრთნელ ვარჯიშს უნდა დაესწროს, ხან მოფარიკავეებს უნდა მიაკითხოს, ხან ხუთჭიდელებს. ესაა მთავარი „არტილერია“ სპარტაკელთა საკავშირო ასპარეზობაში. ჯერჯერობით ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილებს ცუდად როდი აქვთ საქმე: იუნიორები (მძლეოსნები და ხუთჭიდელები) II ადგილზე არიან.

კორინთელმა ყველა სპორტსმენის გაჭირვება და დალხინება იცის, ყველა მათგანზე ზრუნავს, მუდამ ასწრებს მწვრთნელებთან საქმიან კავშირს. სწორედ ამ მონდომებისთვის, გულიანი გარჯისთვის დააჯილდოვეს იგი მედლით „შრომითი მამაცობისთვის“.

ვ. ბუკინი.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: ა. კორინთელი.
ფოტო ავტორისა.

## მექსიკოდანაც მკერდდამშვენებული დაგვიბრუნდებიან

ჩვენი კორესპონდენტი ჯ. ენუქიძე შეხვდა საქართველოს სპორტკავშირის სპორტული ფედერაციებისა და უცხოეთთან კავშირის ბიუროს თავმჯდომარეს შ. ახვლედიანს და ინტერვიუ ჩამოართვა მას. საუბარი საქართველოს მომავალ ოლიმპიელებს ეხებოდა.

— საქართველოს სპორტსმენებმა ტოკიოს ოლიმპიური თამაშების დამთავრებისთანავე დაიწყეს მექსიკოსთვის მზადება. მას შემდეგ ჩვენი ოლიმპიელების შემადგენლობაში ბევრი ცვლილება მოხდა. ზოგიერთმა პოზიციები დათმო, ზოგმა კი, პირიქით, პირველად განაცხადა პრეტენზია საბჭოთა კავშირის ოლიმპიურ გუნდში მოხვედრაზე. დღეს, როცა მთელი საბჭოთა ხალხი ზეიმობს ფიზკულტურელის დღეს და სსრ კავშირში ფიზკულტურული მოძრაობის 50 წლისთავს, როცა მექსიკოს ოლიმპიადის გახსნამდე ორიოდე თვეა დარჩენილი, უკვე შეგვიძლია მიახლოებული სიზუსტით დავასახელოთ საქართველოს ოლიმპიელები.

მინდა გითხრათ ისიც, რომ წლევანდელ სეზონში, ფიზკულტურელის დღემდე გამართულ დიდ საერთაშორისო თუ საკავშირო შეჯიბრებებში, საქართველოს სპორტსმენებმა მოიპოვეს ოქროს 31, ვერცხლის 22 და ბრინჯაოს 20 მედალი. ეს ცოტა როდია. საქართველოს ოლიმპიელთა სიაში უმთავრესად ამ ჯილდოების მფლობელები შედიან.

თქვენ გაინტერესებთ ოლიმპიური თამაშების კანდიდატთა ვინაობა, როგორ და სად ემზადებიან ისინი. ბუნებრივია, ყველა მათგანს ერთი სული აქვს კარგად მოემზადოს და მექსიკოს საგზური მოიპოვოს. კანდიდატები ახლა მზადების სხვადასხვა ეტაპზე არიან — ვინ საკუთარ კლუბში მეცადინეობს, ვინ საკავშირო თუ სხვა შეჯიბრებებში ცდის ძალას, ვინ სპეციალურ წვრთნას გადის.

დავასახელებ მათ სახეობათა მიხედვით.

კალათბურთელებიდან ოლიმპიურ გუნდში უთუოდ შევა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ზ. საქანდელიძე. გამორიცხული არ არის, რომ მას მხარს დაუმშვენებენ ს. კოვალენკო და მ. კორკია.

სსრ კავშირის მძლეოსანთა ოლიმპიურ ნაკრებში მოხვედრის შანსი აქვთ ვ. სანეევს, ი. კოზელსკის, გ. გუდაშვილს, ა. შჩერბინას, ი. დელა-როსას და ლ. ივლევას.

ტყვიის მსროლელთა შორის იქნება შ. ქველიაშვილი. სხვათა შორის, ტოკიოში მის წაყვანას ბოლო მომენტამდე არ აპირებდნენ, მაგრამ ტყვიის სროლაში საბჭოთა ოლიმპიურ გუნდს ყველაზე კარგი შედეგი სწორედ შოთამ მოუტანა. მაშინ მან ვერცხლის მედალი დაისაკუთრა.

ოლიმპიური მექსიკოსკენ უჭირავს თვალი კანოისტ ჯ. ხოშიბაევს, რომელმაც ახლახან სსრ კავშირის ჩემპიონობა მოიპოვა.

მოჭიდავეთაგან ოლიმპიურ საგზურზე პრეტენზიას აცხადებენ ტ. ალიბეგაშვილი, ზ. ბერიაშვილი, გ. საღარაძე, შ. ლომიძე, ა. ცხოვრებოვი, რ. რურუა, ო. გლიაძე. ამ მოჭიდავეებს კარგად იცნობენ მთელი სამყაროს სპორტის მოყვარულები.

მსოფლიოს ექს-ჩემპიონს სპრინტში ო. ფხაკაძეს სსრ კავშირის ოლიმპიურ გუნდში მოცილე არ ჰყავს. სულ ახლახან მან ხარკოვში კიდევ ერთხელ დაამტკიცა თავისი უძლეველობა სპრინტში — ოქროს მედალი მოიპოვა. ფხაკაძე ადგილიდან 1 კილომეტრზე გიტშიც გამოვიდა (უნდა აღინიშნოს, რომ გიტი მის სპეციალობას არ წარმოადგენს) და ყოველგვარი წინასწარი სამზადისის გარეშე დაისაკუთრა ბრინჯაოს მედალი.

მექსიკოში შეიძლება გამოვიდნენ მოცურავეები თ. ლეკვეიშვილი და ა. ტუტაკაევი, წყალში მხტომელი ბ. პოლულიახი, ძალოსანი დ. შანიძე, მოფარიკავეები ნ. ასათიანი და მ. კოსტავა.

ამ სპორტსმენთა ერთი ნაწილი ტოკიოს ოლიმპიადაში მონაწილეობდა. მაშინ საქართველოს წარგზავნილებს თავი არ შეურცხვენიათ, უმეტესობამ ოლიმპიური მედლები დაისაკუთრა. დღეს, ფიზკულტურელთა დიდ ზეიმზე, მინდა გამოვთქვა იმედი, რომ საქართველოს ოლიმპიელები მექსიკოდანაც მკერდდამშვენებული დაგვიბრუნდებიან.

## დეპეშა საბოლოო პუნქტიდან

ბრესტი, 7 აგვისტო. ლენინური კომკავშირის 50 და „შრომითი რეზერვების“ 25 წლისთავისადმი მიძღვნილი ველოლაშქრობა მარშრუტით თბილისი — ბრესტი წარმატებით დამთავრდა.

ა. გირგიდოვი,
ლაშქრობის ხელმძღვანელი.

## 24:3

ბაქო, 9 აგვისტო. (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). აქ დაიწყო სსრ კავშირის I ოფიციალური ჩემპიონატის ზონალური შეჯიბრება რეგბიში. თბილისის „ლოკომოტივმა“ თავისი პირველი შეხვედრა მოუგო ერევნის „დინამოს“ ანგარიშით 24:3.

ნ. ყიფიანი.

## მადლობელი ვართ, ექიმო!

— ორი თვის წინ ყავარჯნებით დავდიოდი, ახლა უკვე მზად ვარ ხალიჩაზე გამოსასვლელად. ამას ზაქარია თელიას უნდა ვუმადლოდე. დიდი მადლობელი ვარ მისი, — მითხრა სპორტის ოსტატმა ა. ჰიკაძემ, რომელიც თბილისის საექიმო-ფიზკულტურულ დისპანსერში ვინახულე.



ამ მადლობას ბევრი გამოჩენილი სპორტსმენი შეუერთდება. დავასახელოთ, თუნდაც, ნ. გაფრინდაშვილი, ლ. იაშინი, ლ. ჟაბოტინსკი...

... სულ ახალგაზრდა იყო ზაქარია თელია, დისპანსერში რომ მოვიდა. ქალაქის მთავარ სპორტულ საავადმყოფოში მუშაობა მარტო გამოცდილებას კი არა, თითქმის თავგანწირვას მოითხოვდა. აქ არ კმაროდა მოსვლა დილის 9 საათზე და საღამოს 5 საათზე წასვლა. აქ შეიძლებოდა ყოველ წუთს საჭირო გამხდარიყო ექიმის დახმარება; სულ ერთია, დღისით თუ ღამით. ახალგაზრდა სპეციალისტი შრომას არ გაურბოდა. ამის დასტურია თუნდაც მედალი: „მამაცური შრომისთვის 1941-45 წლების დიდ სამამულო ომში“.

და აი, ამ დღეებში მოსკოვიდან დეპეშა მოვიდა: „სსრ კავშირის სპორტული მედიცინის ფედერაციის პრეზიდიუმი გულწრფელად გილოცავთ დაჯილდოებას მედლით „შრომითი მამაცობისთვის“.

თელიას ძუნწი მოძრაობა აქვს და სიტყვითაც ძუნწია. ექიმი მუდამ მოუცლელია. კვირა-დღეც იშვიათია მისთვის. აი, რას წერს ბრაზილიის ფეხბურთელთა გუნდის „ბაიას“ ექიმი ჟოზე ჟუვენილ ტელესი: „ბრაზილიის სპორტკლუბ „ბაიას“ დელეგაცია ულრმეს მადლობას უძღვნის თბილისის ფეხბურთელთა კლუბ „დინამოს“ სამედიცინო სამსახურს ბრაზილიელ სპორტსმენთა მიმართ მზრუნველობისთვის. განსაკუთრებით მადლობელი ვართ იმის გამო, რომ ჰოსპიტლის კოლექტივი სამუშაოდ გამოვიდა დასვენების დღეს, რათა დახმარება გაეწია ჩვენთვის“. ეს მადლობა დღეს ქალაქის მთავარ სპორტულ ექიმს თელიას ეკუთვნის. დიახ, 1952 წლიდან იგი დისპანსერის მთავარი ექიმია და 55 სპორტულ ექიმს ხელმძღვანელობს. მისი „ჯანმრთელობის ლაბორატორია“ მარტო თბილისელ სპორტსმენთა შემწე როდია გასაჭირის დროს, — აქ ჩამოდიან მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, კიევიდან...

ზაქარია თელია მეცნიერული მუშაობისთვისაც პოულობს დროს. წლეულს იგი მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად ჩააბარებს გამოცდას. მისმა ბროშურამ „ფიზკულტურელისა და სპორტსმენის ჰიგიენა და თვითკონტროლი“ ბევრ სპორტსმენს გაუწია დახმარება. სულ კი თელია 18 სამეცნიერო შრომის ავტორია, რომელთაგან ბევრი უცხოეთშიც დაბეჭდილა.

ზაქარია თელია თვითეული სპორტსმენის დიდი მეგობარია. და სადაც უნდა იყოს ეს თავმდაბალი, უანგარო კაცი, რასაც უნდა აკეთებდეს, მის საქმეს მუდამ უძღვის მეგზურად გულით ნათქვამი ეს სამი სიტყვა: მადლობელი ვართ, ექიმო!

ვ. ბერიკაშვილი.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: ზ. თელია და სპორტის ოსტატი ა. ჰიკაძე.
ფოტო ვ. ბუკინისა.

ფეხბურთი



-68

# ნაკრები „თამაშგარე მდგომარეობაშია“

ჩვენი ქვეყნის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი ბოლო ხანებში ვერ ახარებს გულშემატკივართა მრავალმილიონიან არმიას თავისი წარმატებებით. დიდი ხანი არაა მას შემდეგ, რაც მან იტალიის საფეხბურთო მინდვრებზე მხოლოდ ბოლო ადგილი დაიკავა ევროპის უძლიერესი გუნდების ოთხეულში, ხოლო ამის წინ დაკარგა შესაძლებლობა მონაწილეობა მიეღო მეხიკოს ოლიმპიური თამაშების ფინალურ ტურნირში. და ეს მაშინ, როცა შარშანდელი სეზონის შედეგებით სსრ კავშირის ნაკრებს საიერარქიო სიაში პირველი ადგილი ეკავა ევროპის ქვეყნების ნაკრებ გუნდებს შორის. ახლა მხოლოდ იმისი იმედი გვაქვს, რომ საბჭოთა ფეხბურთელები წარმატებით გამოვლენ მსოფლიოს IX ჩემპიონატის შესარჩევ თამაშებში. უკვე 7 დეკემბერს ისინი უნდა შეხვდნენ თურქეთის ნაკრებს, ხოლო განმეორებით მატჩს და კიდევ ორ შეხვედრას ჩრდილოეთ ირლანდიის გუნდთან ჩვენი ნაკრები გაისად ჩაატარებს.

რაა წარუმატებლობათა მიზეზი? როგორ გამოვასწოროთ ჩვენი ნაკრების საქმეები? ამ შეკითხვაზე სცადეს პასუხის გაცემა სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის საბჭოს პლენუმის მონაწილეებმა, რომლებიც მოსკოვში შეიკრიბნენ 7 აგვისტოს. გამოითქვა მოსაზრება, რომ ნაკრების სუსტი გამოსვლა ამ ზაფხულში გამოწვეული იყო სასწავლო-საწვრთნელ მუშაობაში არსებული უხეში შეცდომებით. რასაც მოჰყვა წამყვან ფეხბურთელთა უკმარი ფსიქოლოგიური და ფიზიკური მზადყოფნა. საიდუმლოება არაა, რომ ზოგიერთმა მათგანმა ვერ გამოავლინა პატრიოტიზმის გრძნობა (საბო, მელვიდი, ბანიშევსკი, კრამარენკო და სხვ.). სსრ კავშირის ნაკრების უფროსი მწვრთნელი მ. იაკუშინი ზოგჯერ ბრძოლაში აბამდა მოთამაშეებს, რომლებიც თავიანთი კლუბების ძირითად შემადგენლობაშიც არ გამოდიოდნენ, ან აიძულებდა ზოგიერთ მათგანს შეესრულებინა მათთვის უჩვეულო სათამაშო ფუნქციები (თავდამსხმელები მალოფეევი და მარქაროვი რატომღაც ნახევარმცველებად იქცნენ). ზოგიერთი მოთამაშე არღვევდა სპორტულ რეჟიმს (ვორონინი, სტრელცოვი, ჩისლენკო).

სავსებით გაუმართლებელი აღმოჩნდა უძლიერეს მოთამაშეთა ხანგრძლივი საწვრთნელი შეკრებები. მხოლოდ კლუბებში უნდა ემზადებოდეს ნაკრების საბრძოლო რეზერვი. უნდა აღინიშნოს აგრეთვე ნაკრების შემადგენლობის დიდი დენადობა. ასე, ბოლო 3 წლის მანძილზე მასში 120 ფეხბურთელი იმყოფებოდა. რა შეთამაშებაზე შეიძლება ლაპარაკი?

პრობლემა „კლუბი და ნაკრები“ დიდი ხანია აქტუალურ საკითხად იქცა. საკავშირო ტურნირის ზუსტი კალენდარი, ნაკრებში ნამდვილად უძლიერეს მოთამაშეთა მოწვევა, — აი, მისი გზების გადაწყვეტა.

პლენუმის მონაწილეებმა გამოთქვეს აზრი, რომ საჭიროა სსრ კავშირის უმაღლესი ლიგის ჩემპიონატის მონაწილეთა რაოდენობა შემცირდეს 17-მდე. წინადადება იყო, აგრეთვე, ჩატარდეს ტურნირი ორ ეტაპად: წინასწარი და ფინალური თამაშები ცალცალკე. ეს მწვრთნელებს საშუალებას მისცემდა უფრო უკეთ გადაეჭრათ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის საკითხები.

ახლა ჩვენი ნაკრები „თამაშგარე მდგომარეობაშია“, მაგრამ უნდა ვიმედოვნოთ, რომ მალე ჩვენი უძლიერესი ფეხბურთელები კვლავ მიაღწევენ დიდ წარმატებებს.

* * *

ფედერაციის საბჭოს პლენუმმა პრეზიდიუმის თავმჯდომარედ აირჩია სპორტის დამსახურებული ოსტატი ვ. გრანატკინი, რომელიც აგრეთვე ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტია.

ა. კაჩალოვი.

## მოსკოვიდან დაშორებით



ფეხბურთში სსრ კავშირის თასის გათამაშებათა ისტორიაში პირველად იქნა შეტანილი სიახლე ნახევარფინალური მატჩების ჩატარებაში: ეს მატჩები შედგება არა მოსკოვში, როგორც ეს ადრე იყო, არამედ ერთ-ერთი მეტოქის მინდორზე, კენჭისყრის მიხედვით.

კენჭისყრა შედგა. თეთრი კენჭი წილად ხვდათ ბაქოელ და ტაშკენტელ ფეხბურთელებს. ამრიგად, 26 აგვისტოს ბაქოს „ნეფტჩი“ თავის მინდორზე მიიღებს მოსკოვის „ტორპედოს“, იმავე დღეს კი ტაშკენტში ერთმანეთს შეხვდებიან ადგილობრივი „პახტაკორი“ და დონეცკის „შახტიორი“.

ფინალური მატჩი, როგორც დანიშნული იყო, შედგება 8 ნოემბერს მოსკოვში.

## საქართველოს ჩემპიონატი

გაიმართა მორიგი შეხვედრები. მოგვყავს მათი ტექნიკური შედეგები (I ჯგუფის I ქვეჯგუფი): „სულორი“ (ვანი) — „კოლმეურნე“ (წალენჯიხა) 2:0, „სამცხე“ (აწყური) — „ფეიქარი“ (წულუკიძე) 1:0, ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „ბახმარო“ (ჩოხატაური) 4:2, „დურუჯი“ (ყვარელი) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 2:2, „სინათლე“ (თბილისი) — „ლაითური“ (მახარაძის რაიონი) 4:0.

I ჯგუფის II ქვეჯგუფში გამართული შეხვედრები ასე დამთავრდა: I ზონა. „ბახტრიონი“ (ახმეტა) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 3:1, „ვარძია“ (ასპინძა) — „მევენახე“ (ვაზისუბანი) 2:0; II ზონა. „საირმე“ (მაიაკოვსკი) — „სამგურალი“ (წყალტუბო) 1:1, „ელექტრიკოსი“ (ქუთაისი) — „კოლხეთმშენი“ (ფოთი) 1:0, „განახლება“ (ადიგენი) — „ჩიხურა“ (საჩხერე) 3:0.

## თასზე

8 აგვისტოს გაიმართა პირველი შეხვედრები საქართველოს თასზე, რომელმაც გამოავლინა გათამაშების მერვედფინალის მონაწილეები.

წულუკიძის „ფეიქარმა“ ანგარიშით 4:2 დაამარცხა ქუთაისის „ელექტრიკოსი“. აბაშის „განთიადმა“ მოუგო თბილისის „ისანს“ — 1:0. ერთნაირი ანგარიში — 3:1 იქნა ფიქსირებული „ქართლისა“ (გორის რაიონი) და სამტრედიის „ლოკომოტივის“ შეხვედრებში ვანის „სულორთან“ და თერჯოლის „იმერეთთან“. გაიმარჯვეს გორელებმა და სამტრედიელებმა.

ზესტაფონის „მეტალურგს“ გამარჯვება ჩაეთვალა „ნარინჯთან“ (ბათუმის რაიონი), ხოლო თბილისის „სინათლეს“ — ბორჯომის „სპარტაკთან“.



## მხატვრის თვალით

თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტი, სპორტის ოსტატობის კანდიდატი ალექსანდრე კურზანოვი საქართველოს მძლეოსანთა ნაკრების წევრია. იგი რესპუბლიკის სპორტულ ღირსებას იცავდა სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადაში, წარმატებით გამოდის რესპუბლიკურ და საკავშირო ტურნირებში, მაგრამ კურზანოვის მეგობრობა სპორტთან მარტო წვრთნითა და ასპარეზობით როდი იფარგლება. მძლეოსანთა შეჯიბრებებზე მას ხშირად ნახავთ ფანქრითა და ალბომით ხელში — სურს ქაღალდზე გადაიტანოს სპორტსმენთა დაძაბული თუ სიხარულით გაბრწყინებული სახეები, ბრძოლის მომენტები.

დღეს გთავაზობთ კურზანოვის რამდენიმე ნამუშევარს. ზედა ნახატზე თქვენ ხედავთ მომენტს, როცა 3000 მეტრზე წინაღობებით რბენაში სსრ კავშირის ერთ-ერთი საუკეთესო სპორტსმენი ვ. კუდინსკი წინაღობას წამოედო, ფეხი დაიზიანა და დახმარებისთვის ექიმებს უხმო. (ზევიდან ქვევით) — ჩვენი ქვეყნის საუკეთესო სტაიერი, მეხიკოს საგზურის მთავარი პრეტენდენტი ლ. ივანოვი; საქართველოს სპორტსმენები — სპორტის ოსტატი რ. ჩუბინიძე და ნიჭიერი სპრინტერი ვ. კომალოვი.







## სსრ კავშირის პირველობა

### „ბ“ კლასი

### 7:1, 2:0

7 აგვისტოს გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები საკავშირო პირველობაზე „ბ“ კლასის რსფსრ-ს III და IV ზონებში. ჩვენი კორესპონდენტები გვატყობინებენ:

#### გორიდან...

III ზონის ლიდერი — გორის „დილა“ სულ უფრო უკეთესად თამაშობს და სტაბილურს ხდის თავის მოწინავე მდგომარეობას. გორელებმა ამჯერად ნახიჭევანის „არაზს“ უმასპინძლეს და ისევ სრული უპირატესობით ჩაატარეს მატჩი.

კოკისპირული წვიმის შემდეგ ფეხბურთის მინდორი ერთიანად წყლით იყო დაფარული, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია „დილის“ ფეხბურთელთათვის ეთამაშათ სრულ ტემპში, აქტიურად და მონდომებით. „არაზის“ კარი 90 წუთის განმავლობაში განუწყვეტელი შტურმის ობიექტს წარმოადგენდა.

ანგარიში გაიხსნა იმით, რომ გორელთა ცენტრალური თავდამსხმელი კაპანაძე სტუმრებმა უხეშად წააქციეს თავიანთ საჯარიმო მოედანზე და ბურჯანაძემ ზუსტად შეასრულა პენალტი — 1:0. 31-ე წუთზე ჯორბენაძე—აბაიშვილის კომბინაციის შემდეგ „არაზის“ ერთ-ერთმა მცველმა ბურთი საკუთარ კარში გაგზავნა. ამას მოჰყვა კიდევ ერთი გოლი საკუთარ კარში, რომლის ავტორი ამჯერად იყო გორელთა მცველი ნასყიდაშვილი.

ეს თასნანი ლაფსუსი სულ მალე გამოასწორა ბურჯანაძემ, რომელმაც ზედიზედ ორჯერ აიღო მეტოქის კარი, ხოლო ტაიმის დასასრულისთვის აბაიშვილმა თავით გაიტანა მეხუთე გოლი.

მთლიანად ნახიჭევანელთა კართან მიმდინარეობდა თამაში შესვენების შემდეგაც. ჯორბენაძემ და ბურჯანაძემ საბოლოოდ მოათავეს ამ მატჩის ანგარიში „დილის“ სასარგებლოდ — 7:1.

გ. გოზალიშვილი.

#### ლანჩხუთიდან...

ადგილობრივმა „გურიამ“ განვლილ ტურში მასპინძლობა გაუწია კისლოვოდსკის „ნარზანს“.

თამაში „გურიის“ უპირატესობით დაიწყო და 21-ე წუთზე ძაძიგურმა 11-მეტრიანი საჯარიმოთი გახსნა ანგარიში. შესვენების წინ იმავე ძაძიგურმა მეორედ აიღო „ნარზანის“ კარი.

საინტერესო ბრძოლაში მიმდინარეობდა მეორე ნახევარიც. ცვლილება ანგარიშში აღარ მომხდარა და ლანჩხუთელმა ფეხბურთელებმა გამარჯვებულებმა დატოვეს მინდორი — 2:0.

ი. ებრალიძე.

### სხვა შეხვედრები

#### III ზონა

„მეტალურგი“ (რუსთავი) — „დაშკინი“ (ზაქათალა) 1:0, „ალაზანი“ (გურჯაანი) — „ტექსტილშჩიკი“ (მინგეჩაური) 3:1, „ტორპედო“ (არმავირი) — „ენერგია“ (ვოლჟსკი) 2:1, „უროჟაი“ (მაიკოპი) — „ხიმიკი“ (ბელაკოვო) 2:0, „უროჟაი“ (სვეტლოგრადი) — „ხიმიკი“ (ნევინომისკი) 0:0, „უროჟაი“ (ალექსანდროვსკაია) — „უროჟაი“ (სლავიანსკი) 1:0, „შრომითი რეზერვები“ (კურსკი) — „სპარტაკი“ (ორიოლი) 0:0.

#### IV ზონა

„სევანი“ (ოქტემბერიანი) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) 2:1, „არაქსი“ (ეჩმიაძინი) — „ლორი“ (კიროვაკანი) 0:0. „მაშუკი“ (პიატიგორსკი) — „კოლხეთი“ (ფოთი) 4:0, „უროჟაი“ (გროზნო) — „ენგური“ (ზუგდიდი) 1:1, „ირისთონი“ (მოზდოკი) — „დინამო“ (სოხუმი) 1:0, „შექერა“ (ქობულეთი) — „ცემენტი“ (ნოვოროსიისკი) 0:0, „მერცხალი“ (მახარაძე) — „უროჟაი“ (კრიმსკი) — 2:0, „კახეთი“ (თელავი) — „ტრუდი“ (კასპიისკი) 0:2.

## გუშინ...

თბილისის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა კალენდარული შეხვედრა საკავშირო პირველობაზე თბილისის „დინამოსა“ და ბაქოს „ნეფტჩის“ დუბლიორთა გუნდებს შორის. თამაში დამთავრდა სტუმრების გამარჯვებით — 1:0.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

## ფეხბურთის მოყვარულთა საყურადღებოდ!

კალენდარული მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში თბილისის „დინამოსა“ და ბაქოს „ნეფტჩის“ შორის თბილისის „დინამოს“ სტადიონზე 10 აგვისტოს შედგება არა 18 საათსა და 15 წუთზე, როგორც ადრე იყო გამოცხადებული, არამედ 18 საათზე.